# ფანტაზია

№11 (82) 1998

27. 04 – 3. 05 | ი/ს „ფანტაზიის“ შემეცნებით-გასართობი გაზეთი | ფასი 20 თეთრი








**თარაზულად**: 1. ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელი, მეკარე. 3. ყაზახური ლიტერატურის კლასიკოსი. 5. ალბანეთის დედაქალაქი. 7. ფულის ერთეული ესპანეთში. 9. ამა თუ იმ ქვეყნის პოეტთა ერთობლიობა. 13. „ფოლკსვაგენის“ ერთ-ერთი მოდელი. 14. გეოგრაფიული რუკების კრებული. 16. მთავარი არტერია. 21. ცხენოსანი მწყემსი ამერიკაში. 22. სოფელი თბილისის მახლობლად. 23. კბილების დაავადება. 24. ეშმაკი, ანუ... 25. ტახტის მემკვიდრე მონარქიულ სახელმწიფოში. 26. ნაყოფიერების ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში. 29. კარჩაკეტილი საზოგადოებრივი ფენა. 31. მდინარე ჩრდილოეთ იტალიაში. 32. ერთგვარი მოძრაობა ცეკვაში. 34. ნახევარკუნძული ჩრდილოეთ ამერიკაში. 35. საკონდიტრო ნაწარმი. 36. უწყინარი მშვიდი ცხოვრება. 37. ერთ-ერთი ხილი. 38. ერთხმიანი ლირიული მუსიკალური ნაწარმოები.

**შვეულად**: 2. სიმებიანი მუსიკალური საკრავი. 4. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი. 6. ერთგვარი შხამიანი გველი. 8. ალკოჰოლით მდიდარი, ადვილად აალებადი სითხე. 10. ძველი ეგვიპტის დედოფალი. 11. უმაღლესი პილოტაჟის მფრინავი. 12. ჩინელი ბელადის სახელი. 13. „განძთა კუნძულის“ პერსონაჟი. 15. ბუჩქი, რომლის ფოთლებიდან მოწითალო-მოყვითალო საღებავს ამზადებენ. 17. დროის საშთვიანი მონაკვეთი. 18. ანდერსენის ზღაპრის პერსონაჟი. 19. ჰოლივუდის მსახიობი მამაკაცი. 20. მოულოდნელი ამბავი, შემთხვევა. 27. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოების პერსონაჟი. 28. ეკლიანი ველური ბუჩქი. 29. რუსეთის ევროპულ ნაწილში მდებარე ქალაქი. 30. ბიბლიური პერსონაჟი, აბრაამის ცოლი. 31. გეომეტრიული სხეული. 33. სპეციალური ნაგებობა თვითმფრინავების სადგომად.

*კროსვორდი შეადგინეს (დებიუტანტებმა) დათო ჯულაშვილმა და გიორგი მარშანიშვილმა*



# კალენდარი

## 27 აპრილი

– 1749 წ. – ჰენდელის მუსიკის პირველი საჯარო შესრულება.
– 1937 წ. – ინგლისის მეფე ჯორჯ VI-მ გრინვიჩში ოფიციალურად გახსნა საზღვაო მუზეუმი.
– 1939 წ. – 20-21 წლის ბრიტანელი ჭაბუკებისათვის გამოცხადდა საყოველთაო სამხედრო სამსახურის აუცილებლობა.
– 1947 წ. – ნორვეგიელმა ანთროპოლოგმა ტურ ჰეიერდალმა დაიწყო მოგზაურობა პერუდან პოლინეზიისაკენ, რათა დაემტკიცებინა თეორია პოლინეზიის აბორიგენთა პერუდან გადასახლების შესახებ.
– 1960 წ. – საფრანგეთის კოლონია ტოგოლენდი გამოცხადდა რესპუბლიკა ტოგოდ.
– 1961 წ. – სიერა-ლეონემ მოიპოვა დამოუკიდებლობა.

**დაიბადნენ:**

– 1737 წ. – ინგლისელი ისტორიკოსი ედვარდ გიბონი, ავტორი წიგნისა რომის იმპერიის აღზევებისა და დაცემის შესახებ.
– 1797 წ. – სამუელ მორზე, შემქმნელი „მორზეს ანბანისა“.
– 1932 წ. – ანუკ ემე, ფრანგი კინომსახიობი.

**გარდაიცვალნენ:**

– 1521 წ. – ფერდინანდ მაგელანი, პორტუგალიელი ზღვაოსანი.
– 1915 წ. – ალექსანდრე სკრიაბინი, რუსი კომპოზიტორი.

## 28 აპრილი

– 1770 წ. – ინგლისელი ზღვაოსანი ჯეიმს კუკი მიადგა ავსტრალიის ნაპირებს.
– 1919 წ. – ჩამოყალიბდა ერთა ლიგა.
– 1923 წ. – გაიმართა ინგლისის თასის პირველი ფინალური მატჩი „უემბლის“ სტადიონზე.
– 1969 წ. – გადადგა საფრანგეთის პრეზიდენტი, გენერალი დე გოლი.

**დაიბადნენ:**

– 1442 წ. – ედუარდ IV, ინგლისის მეფე.
– 1758 წ. – ჯეიმზ მონრო, აშშ-ს მეხუთე პრეზიდენტი.

**გარდაიცვალნენ:**

– 1945 წ. – ბენიტო მუსოლინი (დუჩე).
– 1992 წ. – ფრენსის ბეკონი, ირლანდიური წარმოშობის ფერმწერი.

## 29 აპრილი

იაპონიის ეროვნული დღე.
– 1429 წ. – ჟანა დ'არკის არმიამ ორლეანს ალყა შემოარტყა.
– 1884 წ. – ოქსფორდის უნივერსიტეტში ქალებს პირველად დაერთოთ ნება გამოცდების ჩაბარებისა.

**დაიბადნენ:**

– 1899 წ. – დიუკ ელინგტონი, ამერიკელი კომპოზიტორი და ჯაზმენი.
– 1901 წ. – ჰიროჰიტო, იაპონიის იმპერატორი.
– 1937 წ. – სადამ ჰუსეინი, ერაყის პრეზიდენტი.

**გარდაიცვალნენ:**

– 1937 წ. – უოლეს კაროტერსი, ნეილონის შემქმნელი ამერიკელი ქიმიკოსი.

## 30 აპრილი

ნიდერლანდების (ჰოლანდიის) ეროვნული დღე.
– 1789 წ. – ჯორჯ ვაშინგტონი გახდა ამერიკის პირველი პრეზიდენტი.
– 1803 წ. – ფრანგებმა ლუიზიანა ამერიკელებს მიჰყიდეს.
– 1902 წ. – პარიზში პირველად იქნა წარმოდგენილი დებიუსის ოპერა „პელეასი და მელიზანდა“.
– 1975 წ. – დამთავრდა ვიეტნამის ომი.

**დაიბადნენ:**

– 1883 წ. – იაროსლავ ჰაშეკი, ჩეხი მწერალი.
– 1946 წ. – შვედეთის მეფე კარლოს XVI.

**გარდაიცვალნენ:**

– 1883 წ. – ედუარდ მანე, ფრანგი მხატვარი-იმპრესიონისტი.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

## კალენდარი

**გარდაიცვალნენ:**

– 1883 წ. – ედუარდ მანე, ფრანგი მხატვარი-იმპრესიონისტი.

– 1945 წ. – ადოლფ ჰიტლერი და ევა ბრაუნი.

– 1983 წ. – ჯორჯ ბალანჩინი, რუსი ქორეოგრაფი (*შენიშვნა*: ეს, რა თქმა უნდა, ქართველი გიორგი ბალანჩივაძე გახლავთ – „ფანტ." რედ.)

### 1 მაისი

– 1707 წ. – ინგლისი და შოტლანდია ოფიციალურად გაერთიანდა.

– 1786 წ. – ვენაში შედგა პრემიერა მოცარტის ოპერისა „ფიგაროს ქორწინება".

– 1931 წ. – ნიუ-იორკში დასრულდა ემპაიერ-სტეიტ-ბილდინგის მშენებლობა, რომლის აშენებაც 41 მილიონი დოლარი დაჯდა.

– 1933 წ. – ინგლისსა და ინდოეთს შორის დამყარდა სატელეფონო კავშირი.

– 1960 წ. – საბჭოთა კავშირში ჩამოაგდეს თვითმფრინავი, რომელსაც მართავდა აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების პილოტი პილოტი გარი პაუერსი.

**დაიბადა:**

– 1916 წ. – გლენ ფორდი.

**გარდაიცვალნენ:**

– 1700 წ. – ჯონ დრაიდენი, ინგლისელი პოეტი.

– 1873 წ. – დევიდ ლივინგსტონი ბრიტანელი მისიონერი და მოგზაური.

### 2 მაისი

– 1611 წ. – ინგლისში დაიბეჭდა პირველი ავტორიზებული ბიბლია.

– 1936 წ. – ეთიოპიის იმპერატორმა ჰაილე სალასიმ მიატოვა ადის-აბება იტალიელთა ოკუპაციამდე სამი დღით ადრე.

**დაიბადნენ:**

– 1729 წ. – ეკატერინე მეორე, რუსეთის იმპერატრიცა.

– 1859 წ. – ჯერომ ქეი ჯერომი, ინგლისელი მწერალი და დრამატურგი.

– 1860 წ. – ბენჯამენ სპოკი, ამერიკელი ფსიქოლოგი და პედაგოგი.

**გარდაიცვალა:**

– 1519 წ. – ლეონარდო და ვინჩი.

### 3 მაისი

– 1493 წ. – რომის პაპმა ალექსანდრე VI-მ გამოსცა ოფიციალური დოკუმენტი ესპანეთსა და პორტუგალიას შორის„ახალი სამყაროს" დანაწილების შესახებ.

– 1906 წ. – სინაის ნახევარკუნძული გამოცხადდა ეგვიპტის ტერიტორიად თურქთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობის შემდეგ.

– 1958 წ. – აშშ-ს პრეზიდენტმა ანტარქტიდის დემილიტარიზაციის კამპანია წამოიწყო.

**დაიბადნენ:**

– 1469 წ. – ნიკოლო მაკიაველი, იტალიელი პოლიტიკოსი.

– 1898 წ. – გოლდა მაიერი, ისრაელის პრემიერ-მინისტრი.

– 1920 წ. – რეი რობინსონი, ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე.

**გარდაიცვალა:**

– 1845 წ. – ტომას ჰუდი, ინგლისელი პოეტი.

## მეორე თავი

კარპენტერი თავის სავარძელში ვერ ისვენებდა... ელერონები? ფიუზელაჟი? რეაქტიული ძრავები? პტენაროდონები? მან პალეონტომავალის დამცავი ველი ჩართო და ისე მიმართა, რომ ჯავშნიდან ნახევარი მეტრის მანძილზე გავრცელებულიყო და პირველი სიჩქარე ჩართო. პტენაროდონები მაღლა ცაში რიალებდნენ. მარსა – დაუძახა მან გოგონას – ერთი წუთით აქ მოდი. გოგონა კარპენტერის მხარს გადმოეყრდნო და თავისი ყვითელი თმები სახეზე გადმოაფინა.

– გისმენთ, მისტერ კარპენტერ?

– შენ პტენაროდონების დანახვისას თქვი – „ისევ გვიპოვნესო" – რას გულისხმობდი ამით?

– ესენი პტენაროდონები არ არიან... მე არ ვიცი, პტენაროდონები ვინ არიან, მაგრამ ესენი ნამდვილად სხვები არიან... ეს ისინი არიან, რომლებიც ჩვენ ჩამოწერილი სამხედრო თვითმფრინავებით გაგვიტაცეს. მათ მე და სკიპი დიდი მარსის კანონიზირებული-ტექნოლოგიური ინსტიტუტის მოსამზადებელი სკოლიდან გაგვიტაცეს და აქ ჩამოგვსვეს გამოსასყიდის გამოძალვის მიზნით. დედამიწა მათი თავშესაფარია; ისინი სამნი არიან: როული, ფრიტადი და ჰოლმერი. ერთი მათგანი, როგორც ჩანს, ხომალდზე დარჩა.

კარპენტერს ხმა არ ამოუღია. 2156 წლის მარსი მოსაწყენი და უდაბური პლანეტა იყო, სადაც, ქვიშის, ქვისა და ქარის გარდა, არაფერი იყო. მის მოსახლეობას შეადგენდა რამდენიმე ათასი ჯიუტი კოლონისტი დედამიწელი, რომლებიც არანაირ სიძნელეს არ უფრთხოდნენ... მათს გვერდითვე ცხოვრობდა რამდენიმე ასეული ათასი ასეთივე ჯიუტი მარსიანელი. დედამიწელები ატმოსფერულ გუმბათებში ცხოვრობდნენ, მარსიანელებს კი, მათს გარდა, ვინც კოლონისტებს გაჰყვა ცოლად ან დაქორწინდა მათზე, იმ ღრმა გამოქვაბულებში უხდებოდათ ბინადრობა, სადაც ასე თუ ისე კიდევ მოიპოვებოდა ჟანგბადი. თუმცა 22-ე საუკუნეში დედამიწელთა მიერ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადსტურეს, რომ დაახლოებით 70 მილიონი წლის წინ ამ პლანეტაზე სუპერტექნოლოგიური ცივილიზაცია არსებობდა, რომელიც ახლანდელ დედამიწურს არაფრით ჩამოუვარდებოდა. ასე რომ, სრულიად დასაშვებია, რომ ამ ცივილიზაციას საპლანეტათაშორისო მიმოსვლის საშუალება ჰქონდა; და თუ ასეა, მაშინდელი დედამიწა, სადაც მეზოზოური ერის უკანასკნელი პერიოდი იდგა, მარსიანელი დამნაშავე ელემენტებისათვის, და მათ შორის ბავშვების გამტაცებლებისათვის, მართლაც იდეალური თავშესაფარი უნდა ყოფილიყო. საკითხის ამგვარი ახსნა ნათელს ჰფენდა იმ ანაქრონიზმების იდუმალებას, რომლებსაც ცარცული პერიოდის შრეებში ხშირად ნახულობდნენ. თუმცა მარსას და სკიპის აქ ყოფნა სხვაგვარადაც შეიძლება ახსნილიყო – შესაძლოა, ისინიც 2156 წლის დედამიწელები იყვნენ და აქ ისევე, როგორც თავად კარპენტერი, დროის მანქანის საშუალებით მოხვდნენ. ანდა, თუ მაინცდამაინც კრიმინალურობას გავითვალისწინებთ, მათი მოტაცება და წარსულში გადახიზვნა დედამიწელ ბანდიტებსაც შეეძლოთ. მაგრამ რაში დასჭირდათ ამ ბავშვებს ტყუილი?

– მითხარი, მარსა – კვლავ ალაპარაკდა კარპენტერი – შენ გჯერა, რომ მე მომავლიდან ვარ მოსული?

– რა თქმა უნდა, მისტერ კარპენტერ! ეს სკიპსაც სჯერა. ამის დაჯერება ცოტა... ცოტა ძნელია, მაგრამ მე ვიცი, რომ ისეთი სიმპათიური ადამიანი, როგორიც თქვენ ბრძანდებით, სიცრუეს არ იტყვის.

– გმადლობთ! მეც მჯერა, რომ თქვენ დიდი მარსიდან ხართ, რაც, ალბათ, თქვენი პლანეტის ყველაზე დიდი და ყველაზე ძლიერი ქვეყანაა. მომიყევი თქვენი ცივილიზაციის შესახებ.

– ეს შესანიშნავი ცივილიზაციაა, მისტერ კარპენტერ – ჩვენ დღითიდღე სულ უფრო წინ მივდივართ და ახლა, როცა ჩვენ შევძელით არასტაბილურობის ფაქტორის დაძლევა, ჩვენი პროგრესი უფრო დაჩქარდა.

– არასტაბილურობის ფაქტორი?

– დიახ. ემოციურ სამყაროზე მოგახსენებთ. მრავალი საუკუნის განმავლობაში სწორედ ეს ემოციები გვაბრკოლებდნენ ჩვენ, მაგრამ ამჟამად ამას ბოლო მოეღო. ახლა, როგორც კი ბიჭს 13 წელი შეუსრულდება, ხოლო გოგონას – 15, მათ დესენტიმენტალიზაციას უტარებენ, რის შემდეგაც მათ უჩნდებათ უნარი – ყოველგვარი გადაწყვეტილება მხოლოდდამხოლოდ გონიერებისა და მკაცრი ლოგიკის პრინციპებით მიიღონ. ეს კი საშუალებას იძლევა, რომ მათ მაქსიმალური ეფექტით გამოავლინონ თავისი უნარი. ინსტიტუტის მოსამზადებელ სკოლაში მე და *სკიპი დესენტიმენტალიზაციის წინა პერიოდს გავდივართ, კიდევ ოთხი წელი და ჩვენ მოგვცემენ სპეციალურ პრეპარატს დესენტიმენტალიზაციისათვის. მერე კი...




**პირველი თავის მოკლე შინაარსი**

*დედამიწის 2156 წლიდან მეზოზოურ ერაში საგანგებო დავალებით გადაგზავნილი კარპენტერი სრულიად შემთხვევით ორ ბავშვს წააწყდება, რომლებსაც დინოზავრის თავდასხმისაგან გადაარჩენს. როგორც აღმოჩნდება, ეს ბავშვები (და-ძმა) მარსიანელები არიან და დედამიწაზე კარპენტერისათვის სრულიად გამოუცნობი მიზეზებით არიან მოხვედრილნი. დედამიწელი მეცნიერი ბავშვებს თავის დროის მანქანაში ჩასვამს და ამ დროს ციდან გამოჩნდებიან ის სუბიექტები, რომელთა გამოისობითაც მარსიანელი ბავშვები დედამიწის მეზოზოურ ერაში მოხვდნენ.*

– ჭრ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ-რ! – ამ დროს ერთი პტერანოდონი საშინელი ჭრიალით გაეხახუნა დამცავ ველს. უკუქცეული თავდამსხმელი ძირს დავარდა და სანამ კვლავ ცაში აფრენას მოახერხებდა, კარპენტერმა პტერანოდონის კაბინეტში „ადამიანი" დაინახა. მან მხოლოდ მისი უძრავი, არაფრისმთქმელი სახის განჭვრეტა შეძლო...

– მე მგონი... მე მგონი, ჩვენს მოკვლას აპირებენ, მისტერ კარპენტერ – სუსტი ხმით თქვა გოგონამ – ისინი დაგვემუქრნენ, რომ დაგვხოცავენ, თუ ჩვენ გაქცევას დავაპირებთ. ახლა მათ უკვე ფირზე აქვთ ჩაწერილი ჩვენი თხოვნა გამოსყიდვის შესახებ და, ალბათ, ცოცხლები აღარ ვჭირდებით.

კარპენტერმა გოგონას თავზე გადაუსვა ხელი – არა უშავს, პატარავ, შენ ახლა სემის მფარველობის ქვეშ ხარ და ნურაფრის გეშინია.

– ამას... ამას მართლა სემი ჰქვია?

– დიახ, სემი! ღრმადპატივცემული სემ ტრიცერატოპსი! გაიცანი, სემ, ეს მარსაა, გაუფრთხილდი მას და მის ძმას, გესმის? – და კარპენტერმა გოგონას ფართო, ცისფერ თვალებში ჩახედა. – სემმა მითხრა, რომ გავუფრთხილდებიო! ნაძლევს ჩამოვდივარ, რომ მარსზე სემის მსგავსი არაფერი შეუქმნიათ! ხომ ასეა?

გოგონამ თავი გააქნია; როგორც ჩანს, ეს ჟესტი მარსიანელებისათვისაც ისეთვე ჩვეულებრივ უარყოფას ნიშნავდა, როგორც დედამიწელთათვის; კარპენტერს ისიც მოეჩვენა, რომ სადაცაა ბავშვის სახეზე ღიმილი გადაირბენდა, მაგრამ შეცდა...

კარპენტერმა ცალი თვალი ცაში მორიალე პტერანოდონებისაკენ გააპარა (იგი კვლავაც ასე მოიხსენიებდა მათ, თუმცა კი იცოდა, რომ ესენი სხვა ქმნილებები იყვნენ)

– მარსა, მათი საპლანეტათაშორისო ხომალდი სად არის? აქ სადმე ახლოსაა?

– აი იქ – მარსამ მარცხნივ გაიშვირა ხელი – იქ... მდინარის და ჭაობის გადაღმა. მე და სკიპი ამ დილით გამოვიქეცით, როცა ფრიტადს ჩაეძინა. ადრე თუ გვიან, დიდი მარსის კოსმოსური პოლიცია მათ აღმოაჩენს და ჩვენ ჩავთვალეთ, რომ გადამალვას მოვახერხებდით პოლიციის გამოჩენამდე. ჩვენ ჭაობი გამოვიარეთ და მდინარე ხის მორით გადმოვცურეთ; ო, ეს... ეს საშინელება იყო, იქ ისეთი დიდი, ფეხებიანი გველებია, ისინი გამოგვეკიდნენ და... – კარპენტერმა იგრძნო, რომ გოგონა მთლად კანკალებდა.

– იცი რა, პატარავ, ისევ კაიუტაში შეძვერი და შენთვის და სკიპისთვის რამე საჭმელი მოამზადე. მე არ ვიცი, თქვენ იქ რას ჭამთ, მაგრამ ჩვენი საჭმელი, ალბათ, არცთუ ისე უსაშველოდ განსხვავებული იქნება თქვენთვის. კარადაში რკინის ქილებია, რომელშიც ბუტერბროდები აწყვია, ზემოთ კი, მაცივარზე, ვარსკვლავებიანი ბოთლებია, ეს კი ლიმონათია. ორივე გახსენი და საქმეს შეუდექი... და მეც მომიტანე რამე... მეც მომშივდა – და ღიმილმა ლამისაა ისევ გადაურბინა მარსას სახეზე.

– კარგი, მისტერ კარპენტერ, ასე ვიზამ!

კაბინაში მარტოდდარჩენილმა კარპენტერმა კი მეზოზოური პეიზაჟების შესწავლა დაიწყო. მარცხნივ, ველზე გაფანტული ტირიფების, მარაოსებრი პალმების და ჯუჯა მაგნოლიების ტევრები მოჩანდა, რომელთა მიღმა ტყით დაფარული ბორცვები იშლებოდა... აი, სწორედ სადღაც იქ იმყოფებოდა მისი შემოსვლის წერტილი მეზოზოურ ერაში.

...ამასობაში კი ჰორიზონტს მიღმა ნამდვილი მეზოზოური სიმშვიდით იბოლქვებოდნენ ვულკანები...

79 061 889 წლის შემდეგ ეს ადგილი შტატ მონტანას ნაწილი გახდება. 79 062 156 წლის შემდეგ კი პალეონტოლოგიური ექსპედიცია, რომელიც ამ მიდამოებში გათხრებს ჩაატარებს, თანამედროვე ადამიანის ნეშტს წააწყდება... ვაითუ, ეს თავად კარპენტერის ნეშტი აღმოჩნდეს? მას გაეღიმა და ცას ახედა, სადაც პტერანოდონები ისევ რიალებდნენ – ვნახოთ, ვნახოთ, ეგებ ისეც მოხდეს, რომ ეს მარსიანელის ნეშტი იყოს?! – მან ტრიცერატანკი მოატრიალა და უკან წავიდა – წავედით, სემ, მოდი, სადმე შევაფაროთ თავი და ღამე გავათიოთ... დილით კი, ეგებ მოვიფიქრო შემდეგი მოქმედების გეგმა. აი, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ მე და შენ მარსიანელი ბავშვების გადარჩენა მოგვიხდებოდა?!

...სემმა თავისებურად ჩაიბუბუნა და ტყიანი ბორცვებისაკენ გაემართა.

*თარგმნა ალ. ელერდაშვილმა*

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

## კურიოზები

**...გაგაცნობთ ტექნიკის ერთ-ერთ სიახლეს, მოლაპარაკე საკეტს; უფრო სწორად – მის სარეკლამო კლიპს.**

(კადრში ჩანს ნახევრად ჩაბნელებული სადარბაზოს კიბის ბაქანი. კიბეზე ქურდი მიიპარება. ხელში გასაღებების აცმა და ე.წ. „ატმიჩკა" უჭირავს; ანათებს ასანთს და ცდილობს საკეტში გასაღების მორგებას.

ქურდი: „სად არის, ნეტავი, გასაღების ჭრილი?"

ხმა: „ჭრილი ოდნავ ქვემოთაა".

ქურდი: (შეშინებული) „რაო?! ვინა ხარ?"

ხმა: „ეს მე ვარ, მოლაპარაკე საკეტი, თქვენი ერთგული დამხმარე კარის გაღებაში".

ქურდი: „ვაჰ, ხედავ შენ?! აი, ეს ასწორებს!"

(კვლავ ცდილობს გასაღების მორგებას, მაგრამ ვერ ახერხებს)

ხმა: „თქვენს გასაღებს ორი კბილი აკლია...

ქურდი: „ყოჩაღ!" (ეძებს და პოულობს სხვა შესაფერის გასაღებს).

ხმა: „ახლა გასაღები ორჯერ გადაატრიალეთ მარჯვნივ"

ქურდი: (ატრიალებს გასაღებს) „ერთხელაც ყოჩაღ! მაგარი გამოგონება ხარ!"

ხმა: „ახლა ერთხელ მარცხნივ გადმოატრიალე (ტკაცუნის ხმა...) მე ღია ვარ, შემოდით! ...უკვე შემოხვედით?"

ქურდი: „შემოვედი!"

ხმა: ქვედა თაროზე ქაღალდში გახვეული პაკეტი, აიღეთ და წადით, მასში ბევრი ძვირფასი ნივთია".

ქურდი აღნიშნულ პაკეტს ადვილად ნახულობს: „ვაჰ, ტი პასმატრი, რა... ძმა ხარ ჩემი!"

ხმა: „ახლა ჩქარა წადი, სახლის პატრონი ხუთ წუთში აქ იქნება"

(ქურდი გადის, ღია კარში სახლის პატრონი შემოდის)

პატრონი: „აბა, ყველაფერი რიგზეა?"

ხმა: „რა თქმა უნდა! ნაგავი გადავაყრევინე..."

## ანეკდოტები

ჩუქჩა ზღვის პირას მიაბიჯებს და მხიარულად უსტვენს. უცებ წყლიდან ამერიკული წყალქვეშა ნავი ამოდის:

- ჩუქჩა, ხომ არ იცი, რუსების კრეისერი საით წავიდა?

- ჩრდილო-დასავლეთით – პასუხობს ჩუქჩა.

ამერიკელებმა მიდიან.

უცებ რუსების წყალქვეშა ნავი ამოდის.

–ჩუქჩა, ამერიკელების ნავი საით წავიდა?

- ჩრდილო-დასავლეთით!

– მორჩი მაიმუნობას! ხელით გვაჩვენე...

• • •

ძაღლის პატრონი ვეტერინარს:

– ჩემს ძაღლს ცუდი ჩვევა დასჩემდა, „ზაპოროჟეცებს" დასდევს და უყეფს. რამე წამალს ხომ არ გამომიწერდით?

– ამაში ცუდი არაფერია, ყველა ძაღლი უყეფს მანქანას...

– ჰო, მაგრამ ჩემი ძაღლი „ზაპოროჟეცებს" იჭერს, ბოსტანში მიათრევს და მიწაში ფლავს?!

• • •

პაციენტი:

– ექიმო, სად უნდა მოხვდეს ადამიანს ტყვია, რომ სიკვდილი წამიერად დადგეს?

ექიმი:

– მკერდიდან ორი სანტიმეტრის ქვემოთ

პაციენტი გადის. ისმის სროლის ხმა. შემორბის სანიტარი:

– ექიმო, ექიმო, იქ ვიღაც ქალმა მუხლი გაიხვრიტა... ტყვიით?!

## იუმორი ყველასათვის

## დიალოგები

### ორი პატარა პიესა კრიმინალურ-ჰიგიენურ თემაზე

#### 1. (გოგირდის)აბანო

*(შემოდის ინტელიგენტი)*

- *დღეს აბანო ფუნქციონირებს?!*
- *ჰამე?!*
- *მუშაობს-თქვა?*
- *ეგრე თქვი, რა?! მუშაობს.*
- *წყალი როგორ ცირკულირებს?*
- *ჰამე?*
- *წყალი თუ მოდის-თქვა?*
- *ეგრე თქვი, რა?! მოდის.*
- *მომეცით ბილეთი ერთი პირისათვის.*
- *ვა?! ფეხებს არ დაიბან?!*

#### 2. (ცირის)აბანო

*(შემოჰყავთ ბრალდებული)*

- *ბრალდებულო, საკანში ჩაჯდომის წინ თქვენ ცხელი შხაპი უნდა მიიღოთ.*

- *არ მინდა, უფროსო, ჯობია „სროკი" დამიმატო!*

## ა(ნ)ფორიზმები

**1.** სანამ წამიერებას შეაჩერებდეთ, დარწმუნდით, მშვენიერია თუ არა, ის.

**2.** საკუთარ თავს შეიძლება გაექცე მხოლოდ იქ, სადაც სხვები თავისი ნებით დადიან.

**3.** ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი ხველებაა.

**4.** ეგვიპტური პირამიდები აგებულია ადამიანთა ძვლებზე, ფინანსური პირამიდები კი - იდიოტების გონებაზე.

**5.** სიმართლე ყველასათვის ერთია, ოღონდ ვარიანტები ბევრი.

**6.** ყველა უცოლო მამაკაცი კარგ ცოლზე ოცნებობს! ...იგივეს ოცნებობენ ცოლიანებიც!

**7.** სტომატოლოგის ბური ისე საშინლად ღმუის, თითქოს სტკიოდეს მას და არა პაციენტს.

**8.** სული მღერის ფონოგრამის თანხლებით.

**9.** გთავაზობთ სათაურს მელოდრამატული სერიალისათვის - „ორჯერ ჩასახული".

**10.** ყველაფერი ახალი კარგად გადანახული ძველია.



# საკონტროლო წერა

*განვაგრძობთ მოსწავლეთა „შემოქმედებითი წვის“ პროცესში შექმნილი „მარგალიტების“ გამოქვეყნებას*



– ავთანდილი სოგრატს 10 000 დოლარს შეჰპირდა.
– ნესტანის იღბალზე გულანშაროს მეფის ვაჟი სამხედროში იყო წასული.
– მოიგლიჯა მამალმა თავი და წინ დაუდო მელიას.
– ქეთოს თავისი დედ-მამა ისე უყვარდა, როგორც ღვიძლი.
– ხონში გოგიტას ერთი ფუთი სიმინდი მისცეს და კაკალიც ჩაუჩხრიალეს.
– გარდაიცვალა თავსაფრიანი დედაკაცი და თანაც ვაკის ჩიხში.
– უდაბნოში ვაჭარმა დაინახა, სამშობიარო იდგა.
– მაგდანა მიაქროლებდა ლურჯას მხიარული სახით.
– ლუარსაბი დარეჯანს ეტრაბახებოდა: ახალგაზრდობაში ისე გავაჭენებდი ცხენს, გეგონება რაკეტა გაფრინდაო.
– გრიგოლ ხანძთელი არ კითხულობდა საბავშვო მოთხრობებს.
– ვარსქენმა შუშანიკი მილიციაში წაიყვანა.
– ფარსადანმა არსენას თუში მეცხვარეები დაასხა თავს.
– ი.ჭავჭავაძე ჯუზეპე გარიბალდის რგოლში ჩაეწერა.
– გაიოზ გადალენდია ჩოჩორი იყო ქალაქში.
– გრიგოლ ხანძთელს მარილმოყრილი ენა ჰქონდა.
– თბილისიდან უფროსებმა შემოთვალეს, ვინც არსენას დაიჭერს, ხუთ მეშოკ ოქროს მივცემთო.
– ლუარსაბის სახლში რომ შეხვიდე, ან ფეხს მოიტეხ, ან კისერს. პატრონი ბოდიშს მოიხდის, მაგრამ ბოდიში რომ წამალი იყოს, აფთიაქში გაიყიდებოდა.
– გიორგი მეფის დაკრძალვის დღეს დიდი წვიმა აღმოცენდა.

*„მარგალიტები“ მოგვაწოდა მანანა მაისურაძემ, ზნაურის რაიონის სოფელი წნელისი.*

## ი დ ე ა !

ჩავატაროთ საკროსვორდო ჩემპიონატი ოლიმპიური სისტემით; ანუ წინასწარი შერჩევისა და კალთესვის შედეგად შერჩეული მონაწილენი ერთმანეთს დაუსწრებლად შეეჯიბრებიან კროსვორდის ამოხსნაში. შესავსებად გამოქვეყნდება თანაბარი სიტყვათა ოდენობის 2 კროსვორდი. მონაწილენი კროსვორდს ირჩევენ სურვილისამებრ და გვიგზავნიან პასუხს. წინასწარ დაწყვილებულ მოპაექრეთა შორის გაიმარჯვებს ის, ვინც უფრო სწორ პასუხს მოგვაწოდებს. ყაიმის შემთხვევაში ორივე მონაწილე აგრძელებს ტურნირს. ყოველი მომდევნო ტურის წინ გაიმართება წილისყრა, რომელიც მონაწილეებს დააწყვილებს. გაიმარჯვებს ის, ვინც ყველა მოწინააღმდეგეს დაამარცხებს

**„ფანტაზიის“ (ანონიმი) მკითხველი**

*რედაქციისგან:* ჩვენ დაგვაინტერესა იდეამ; თქვენ რას იტყვით, ბატონებო?

# სიმეტრიული კროსვორდის ხიბლი



**თარაზულად:** **3.** იგივეა, რაც ძირმაგარა; **9**. თეთრი ქსოვილი მიცვალებულის გასახვევად; **10**. რელიგიური დაწესებულების „აუდიტორია“ **11**. ზრდილობასთან უმძრახად მყოფი სუბიექტი; **12**. კერძო ან სახელმწიფო საკუთრების დამცველი პირი; **13**. „ლონდრეს“ ნეკროპერსონაჟი; **14**. რა უნდა ჰქონდეს თავისი ყველა კარგ კროსვორდისტს? **15**. უკანასკნელი წლების საქართველოს ერთ-ერთი სამხედრო ადმინისტრაციული ლიდერი; **17**. ცენტრალური ევროპის ისტორიული რეგიონი; **19**. ავსტრიული წარმოშობის ფრანგი დედოფალი, რომელმაც სიცოცხლე გილიოტინაზე დაასრულა; **24**. ფილთაქვის ძველთბილისური სინონიმი; **25**. მოსკოვის უბანი, რომელსაც ყველა ტელემაყურებელი იცნობს; **26**. ოპერაში ჩართული თავისუფალი ფორმის ინსტრუმენტული პიესა; **28**. ცენტრალური ამერიკის სახელმწიფო; **30**. ქართული კინოს ერთი „ზაზაევიჩის“ თანამდებობა; **33**. რუსული ანეკდოტების ერთი გმირის „დიდი სამშობლო“; **35**. ესპანელი და პორტუგალიელი მონარქების მემკვიდრე; **37**. საკვების დამუშავების ცხოველური ვარიანტი; **38**. ავტორი რომანისა „Повесть о настоящем человеке“; **39**. ძაღლი – ანჟელიკას“ სერიალებიდან; **40**. დასაშინებელ-დასამუქრებელი სიტყვა; **41**. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; **42**. ორგანიზაცია, რომელსაც ზამთარ-ზაფხულ წყენითა და მუდარით შევცქერით; **43**. მეწინავე კომკავშირელის სახესხვაობა;

**შვეულად:** **1**. „ძვირფასი ნივთი“, რომელსაც გატეხვა შუბლზე აწერია; **2**. აღმოსავლური წარმოშობის მუსიკალური სიმებიანი საკრავი; **3**. აღმოსავლური ტკბილეული; **4**. რა უძღვის წინ „საოჯახო ლოტოს“; **5**. რუსი მწერალი, ავტორი მოთხრობისა „Слепой музыкант“; **6**. სახელმწიფოებრივი ფორმა, რომლის ქონასაც კომუნისტები გვიმალავდნენ; **7**. ავტორი რომანისა „ამაოების ბაზარი“; **8**. ინგლისური ენის სახესხვაობა, რომელიც ჰენრი ჰიგინსს (ალბათ) ინფარქტს დამართებდა; **15**. მათემატიკური ცნება, რომლის არსებობა ყველამ იცის, არსისა კი... რა მოგახსენოთ; **16**. ტკივილის გაყუჩების ექსტრემალური საშუალება; **17**. უძრავი და უმოქმედო... ოღონდ არაქართულად; **18**. რა სჭირდება ყოველ ახლად გამოგონილ მექანიზმს; **20**. „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული ერთგვარი ქართული თამაში; **21**. 80-იანი წლების უძლიერესი ბრაზილიელი გარემარბი; **22**. ინსტრუმენტი, რომლის მკერდზე მიდებისას „სხივი ამობრწყინებას იწყებს“; **23**. ავსტრალიური ფაუნის წარმომადგენელი; **27**. ფიგაროს და მისთანათა სამუშაო სითხე; **28**. რობინ ჰუდის „სამოღვაწეო“ ქალაქი; **29**. ანტვერპენელი ყალმის დიდოსტატი; **30**. რა არის „ლაშარელა“ და „დიდი ლამე“ ერთად; **31**. კაპიტან ნემოს სამშობლო; **32**. ქალაქი ყაზახეთში; **34**. ფილმი, რომელმაც ლეონიდ კურავლიოვი ახლოს გაგვაცნო; **36**. აფრიკის სახელმწიფო;

# ისტორიის შავ-თეთრი უჯრები






















**თარაზულად: 9. იხილეთ ილუსტრაცია** და.. იცანით. **10**. (ცოტა აქეთ გადმოვუხვიოთ) სახელი და გვარი თანამედროვე ამერიკელი მსახიობი მამაკაცისა. **12. იხილეთ ილუსტრაცია** და.. იცანით. **13**. სამკურნალო-დასასვენებელი სახლის სახესხვაობა. **14. იხილეთ ილუსტრაცია** და... გაიხსენეთ ამ პიროვნების თანამდებობა. **16**. სკანდინავიურ-ბალტიური სახელი მამაკაცისა: **18**. უდაბნო – ზოგადადაც და კონკრეტულადაც. **19**. ლიტერატურულ ნაწარმოებთა კრებული. **21**. კულინარული ნაწარმი. **23**. სახელმწიფო ლათინურ ამერიკაში. **24**. ლონდონის ერთი (ლიტერატურის მოყვარულთათვის) კარგად ცნობილი სასახლე. **26**. პოლიტიკოსისათვის შეურაცხმყოფელი კნინობითი „სახელი“. **28**. ქვეყანა, საიდანაც უამრავი ხალხი გადასახლდა აშშ-ში. **30. იხილეთ ილუსტრაცია** და... გაიხსენეთ ამ კაცის სამშობლო. **33**. იტალიელი წესრიგის დამცველი. **36**. როგორი გამოსახულების დაფიქსირება იქნა აღმოჩენილი 1839-40 წლებში? **37**. ერთგვარი გაჭირვება, სიძნელე. **38**. სახელ კაცისა, რომელიც XIX ს.-ში უნგრეთიდან საქართველოს ეწვია... გარკვეული მიზნით. **40**. გეორგ ვილჰელმ ჰეგელთან (1770-1831) გაიგივებული ფილოსოფიური მიმდინარეობა. **42**. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი. **43**. დასავლეთ საქართველოს უძველესი ქალაქი. **45**. გერმანელი ფერმწერი. **46**. შარლ მორის ტალეირანის (1754-1838) პროფესია. **49**. ერთი ცნობილი აფრიკული ტომის წარმომადგენელი. **51**. როგორი სამყარო ამწარებს და აარსებებს სამართალდამცავ ორგანოებს?

**შვეულად: 1**. ფრანგი მწერალი ფრანსუა რენე... (1768-1848). **2**. XIX ს. ფრანგი კომპოზიტორი. **3**. ინდური ლიტერატურის ერთი კლასიკოსის სახელი. **4**. XIX-XXსს ამერიკელი გამომგონებელი. **5. იხილეთ ილუსტრაცია** და... გაიხსენეთ რომელი ეპოქაა დაკავშირებული ამ ქალბატონთან. **6**. რა ერქვა უკანასკნელ ქართველ მეფეს? **7. იხილეთ ილუსტრაცია** და... გაიხსენეთ სარდალი, რომელმაც სურათზე გამოსახული პიროვნება დაამარცხა. **8**. ფართობის არატრადიციული საზომი ერთეული. **11**. ამერიკის აბორიგენი. **15.** რა ჟანრია დაკავშირებული ჰანს-ქრისტიან ანდერსენთან? **17**. (ცოტა აქეთ გადმოვუხვიოთ) თანამედროვე ფრანგი ფეხბურთელი. **20**. ვინ არიან არაბები, ირანელები და თუნდაც ვიეტნამელები? **22**. გარუსებული იტალიელი თოჯინა. **25**. მარტომყოფი, ეული, ანუ როგორი? **27**.უძველესი ინგლისური უნივერსიტეტი. **29**. ვატიკანის დიპლომატიური წარმომადგენელი. **31**. უკეთურ ქმედებასთან დაკავშირებული ზნეობრივი ცნება. **32**. ეპითეტი, რომელიც ნიუ-იორკის ერთი ცათამბჯენის აღსანიშნავად გამოიყენება. **34**. XIX ს. დასაწყისის ლიტერატურული მიმდინარეობა **35. იხილეთ ილუსტრაცია** და გაიხსენეთ... როგორი ლიტერატურაა დაკავშირებული ამ პიროვნებასტან? **39**. №7 ფოტოზე გამოსახული პიროვნების ღირსეული ქართველი მემკვიდრე იმპერატორობის დარგში. **41**. ინგლისელი პოეტ-რომანტიკოსი (1779-1852). **44**. იგივეა, რაც მინანქარი. **47**. 1830-48 წწ. საფრანგეთის მეფის ერთ-ერთი სახელი. **48.** როგორი კაცი იყო ბეთჰოვენი? **50.** ჩვენს ენაში ხშირად ხმარებული რუსული ნაწილაკი.




# კროს-ჩემპიონატი

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ზოგიერთი წერილი ჩვენამდე არ აღწევს; ეს მონაწილეთა შორის ბადებს ეჭვს ჩვენის მხრივ რაიმე მიკერძოების არსებობაში, რაც აბსოლუტურად გამორიცხულია. რაც მთავარია, ამგვარი ეჭვი ძალზედ შეურაცხმყოფელია ჩვენთვის!

| № | ფიქიკო ტურის ფეთდეგ | 4 | 5 | 6 | 7 | ძ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კუსრაძე ლიანა | 100 | 100 | 100 | 100 | 99,71 |
| 2 | გაბრიელიძე იური | 100 | 98 | 100 | 100 | 99,66 |
| 3 | ხაჩირაშვილი მარინე | 100 | 100 | - | 99 | 99,6 |
| 4 | ჩაჩანიძე ქეთევანი | 100 | 99 | 100 | 100 | 99 |
| 5 | სესიტაშვილი ზურა | 100 | 97 | - | 100 | 99 |
| 6 | საზანდრიშვილი ნათია | 100 | 99 | 97 | 100 | 98,8 |
| 7 | გეგია მაია | 100 | 98 | 98 | 100 | 98,71 |
| 8 | კვირიკაშვილი მერაბი | 100 | 96 | 100 | 98 | 98 |
| 9 | ბუძღულაშვილი მანანა | 100 | 100 | 94 | 99 | 97,57 |
| 11 | მურგვიძე ვიტალი | 95 | 97 | 100 | 99 | 96,83 |
| 12 | ჯახველაძე ლია | 98 | - | 97 | - | 96 |
| 13 | მაისურაძე მანანა | 98 | - | - | 95 | 95,75 |
| [illegible] | დანელია ლევანი | 97 | 93 | 95 | - | 95,25 |
| [illegible] | ჯღამაძე ნუნუკა | 97 | 93 | 94 | - | 95 |
| 15 | ცომაია გოგი | 90 | 90 | 97 | - | 90,66 |
| | | | | | | |
| | ზადიშვილი ანი (ქ.გარ) | - | - | 94 | 99 | 96,66 |
| | ბერიშვილი ირაკლი (ქ.გარ) | - | 94 | - | - | 94 |
| | გიორგაძე ოტია (ქ.გარ) | - | - | - | - | 94 |
| | აბარაძე თორნიკე (ქ.გარ) | - | - | - | 90 | 90 |

## გასული ნომრის პასუხები

(რეპლიკა) *თარაზულად:* 1. დენდროლოგი; 7. ზვინი. 8. როლი. 9. ატომი. 10. თეორემა. 11. ონასისი. 12. გოია. 14. ქრისტინე. 16. აარე. 18. ილფი. 19. ალზამაი. 20. კალანდა. 21. თორა. 23. იდეა. 25. აბისინია. 26. ილტო. 30. ადენომა. 31. ტორონტო. 32. იმამი. 33. ურცი. 34. ოდესა. 35. ანტიქრისტე. *შვეულად:* 1. დონორი. 2. დერმატინი. 3. ლეიკოციტი. 4. ისტისუ. 5. სვიანი. 6. ემისია. 12. გარანტი. 13. აგრაფია. 14. ქარაგმა. 15. ანტანტა. 16. აბრაამი. 17. ემბარგო. 21. თხილამური. 22. აინშტაინი. 24. ენდემი. 27. ლოტოსი. 28. ანემია. 29. ლონდრე. (ქარგონი) *თარაზულად:* 2. გამბუზია. 7. დუჩე. 8. ლელა. 9. ლუპა. 10. ბამაკო. 11. რანტიე. 13. დორე. 14. რუბინი. 16. ბრონტე. 18. აჩმა. 19. ალეპო. 20. კოცნა. 21. ბაგა. 23. ომიაძე. 25. ბოლერო. 27. რიწა. 28. ანგარა. 30. შიბაქი. 32. ნელი. 33. ურჩი. 34. რუფო. 35. ალეგრეტო. *შვეულად:* 1. ქუჩა. 2. გენადი. 3. მელოდია. 4. ზიარება. 5. ალონსო. 6. ელჩი. 10. ბარკაროლა. 12. ელევატორი. 15. ბლეფი. 17. ნიცშე. 21. ბერანჟე. 22. აბაშიძე. 24. ანანია. 26, ლიბერო. 29. ნერუ. 31. ქაფი.

(კროსვორდი ჩვენს ფანჯრებში) *თარაზულად:* 1. რურუა. 4. გაბენი. 6. ოსპი. 11. დლე. 12. კანონადა. 13. ნიუპორტი. 14. ჩალა. 16. ბალი. 17. ტილი. 18. სპა. 20. აკრი. 22. მსხალი. 25. ბანა. 25. ქცია. 28. ალფა. 29. ნარგილე. 30. კოდი. 32. ტაო. 34. ბიოლოგია. 38. ზორგე. 39. იხვი. 40. მორფი. 41. ეკალი. 46. როჭო. 48. ლონდრე. 49. არამისი. 50. ნინო. 52. უენა. 53. რახტი. 55. ხრიკი. 58. შელია. 59. ილორი. 60. ფლეში. 62. სიმფონია. 64. აბრა. 66. ლუდი. 67. ალტაი. 69. კიო. 71. ერგი. 73. კივი. 75. ანადირი. 76. ბანძა. 78. ლიმონათი. 81. კომა. 82. რადონი. 83. ატოცი. 84. რქა. 85. თარი. 86. ორატორია. 87. კანტი. *შვეულად:* 1. რეკლამა. 2. რანჩო. 3. აგნი. 4. გადია. 5. ეტლი. 7. სორი. 8. იდიში. 9. კემპინგი. 10. სპილო. 14. ჩაჩი. 15. არხარი. 16. ბელგია. 18. სიქა. 19. მარკოზი. 21. კოლტი. 24. ანდორა. 26. ანცი. 27. მეტეხი. 31. ლომი. 33. სერსო. 34. ბემოლი. 35. ოხრანკა. 36. აფსკი. 37. ფალია. 42. ბრიუგე. 43. კენია. 44. ბარი. 45. ბინი. 47. ჭანჭიკი. 51. ნიბლია. 54. ხორბალი. 55. ხაში. 56. კოხი. 57. პინა. 58. შიფერი. 61. ბადია. 62. სტაფილო. 63. ნეკი. 65. ბარკაროლა. 68. ლეი. 70. ომნიბუსი. 72. პაროდია. 73. კომეტა. 74. ვენეცია. 77. ძმარი. 79. ირაო. 80. ინრო.





**თარაზულად**: **1**. გარეული ფრინველი. **10**. ცეკვის ხელოვნება ანუ რა? **14**. ენის შემსწავლელი მეცნიერება... არაქართულად. **15**. ქართული მხატვრული ფილმი. **16**. ვაშლის ზამთრის ჯიში. **17**. ფლორის წარმომადგენელთა „ახალი თაობა“... **18.** შუა აზიელი ბატონი (...თანაც პატრონი!) **19.** სპორტული შედეგის სახესხვაობა. **20**. სახელმწიფო ევროპაში. **22**. (**იხილეთ ფოტო**) რა გახდა მიზეზი ამ გემის დაღუპვისა? **24**. ქართველი წმინდანი (იხსენიება 2 აგვისტოს). **28**. სიმცირის მანიშნებელი სიტყვა. **30**. **ქალისადმი მისამართი სიტყვა გერმანიაში. 31**. (**იხილეთ ფოტო**) **ვინ არის? 33**. **რუსეთის მაიმუნური ქალაქი (ტარზან. კავშ.)** **34**. ძველი ბერძენი დრამატურგი (ძვ.წ. 525-456 ). **35**. ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ესპანელი მეკარე (ფეხბ. კავშ.) **37**. მწვერვალი მესტიის რაიონში, სვანეთის კავკასიონზე. **39**. სითხის საზომი ერთეული. **41**. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეცნიერული საფუძვლები. **43**. სოციალისტ-რევოლუციონერი. **44**. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი. **45**. პატარა ძაღლი. **47**. ჩვენი









კინოს ონისე (აშშ-სთან კავშ.). **48**. ვერტიკალურად მოძრავი მანქანა (დღეს ხშირად რომ ვერ მოძრაობს!) **49**. წნელის ბრტყელი წნული, ლასტი. **50**. ზოგიერთი ხე-მცენარის ქერქი. **55**. კაიფვორდისტი იტყოდა — „ოსების“ ქალაქი იაპონიაში-ო. **58**. სოფელი ჭიათურის რაიონში. **60**. ჩვენი ტაძარი. **62**. ფრანგი სამართლისმცოდნე, ფილოსოფოსი, მწერალი (1689-1755). **64**. ერთ-ერთი სპორტული ნავის ეკიპაჟის წევრი. **66**. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი. **68**. ერთგვარი ძვირფასი ქსოვილი, იმოსებოდნენ მეფეები, მღვდელთმთავრები. **69**. ცნობილი (საბჭოთა) ფიზიკოსი — მუშაობდა ატომური ბომბის შექმნის საკითხებზე. **70**. კაცი, რომელიც სამხატვრო აკადემიის წინ „დგას“. **72**. საშობაო გუნდური ქართული სიმღერა. **73**. ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი. **75**. ტყავის ჭურჭელი ღვინის ან არყისათვის. **79**. ნოტიო, ჩახურებული ფქვილი. **82**. სახელმწიფო აზიაში. **84**. ლეგიონის ნაწილი ძველ რომში. **86**. ბურთულებად გაკეთებული წამალი. **87**. საჰაერო ბრძოლის ოსტატი, რომელმაც გარკვეული რაოდენობი მტრის თვითმფრინავები ჩამოაგდო. **88**. აშშ-სა და ინგლისში გაუთხოვარი ქალისადმი მიმართვა. **89**. ვისიმე შესახებ შექმნილი შეხედულება, რეპუტაცია. **90**. სოფელი სიღნაღის რაიონში. **91**. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ცხოველებისა და მცენარეების სიმახინჯეს. **92**. ბიოლოგიურად — სქესის უქონლობა. **93**. საბანაო კოსტიუმი, რომელიც ფარავს სხეულის ზოგიერთ (**O-la-la!**) ნაწილს.

**შვეულად**: **1**. გაუშლელი ყლორტი, ყვავილის ჩანასახოვან მდგომარეობაში. **2**. მიხაილ ლერმონტოვის პოემა. **3**. იტალიური მსუბუქი ავტომობილი. **4**. აშშ-ს შტატი. **5**. კრასნოიარკის მხარის დედა-მდინარე. **6**. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ლითონის ჭურჭელი. **7**. ბიბლიური წინასწარმეტყველი. **8**. (**იხილეთ ფოტო**) ვინ არის ავტორი?. **9**. მოჭიდავის მდგომარეობა, როდესაც იგი (მოჭიდავე, რა!) მუხლებით და ხელებით ხალიჩას ეყრდნობა. **11**. სოფელი გორის რაიონში. **12**. ჩაკეტილი მრუდი მათემატიკაში **(...და სხვაგანაც)** **13**. ნოეს ერთ-ერთი ვაჟთაგანი. **21**. დაზგა, **რომელზედაც ქვემეხის ლულა მაგრდება. 23**. **ქალაქი შოტლანდ**იაში. **25**. მსოფლიო ჭადრაკის ერთ-ერთი ლეგენდა. **26**. ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოსული მზის სხივი. **27**. სოფელი ახალციხის რაიონში. **28**. სოფელი მცხეთის რაიონში. **29**. ბოლქვიანი მცენარე, ყვითელი ან თეთრი ყვავილით. **31**. ფშავლების მთავარი სალოცავი. **32**. მართლმადიდებლურ ეკლესიაში მაგიდა, რომელზედაც სალვთო წიგნებს დებენ ლოცვის დროს. **36**. მაყურებლის შეძახილი... (მერე-და მაყურებელი სად არის ხოლმე?) **38**. რაიმე საერთო საქმეში თითოეული წევრის წილი. **40**. უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი. **42**. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი, მეკარე. **46**. მავნე არსება ლამაზი ქალის სახით. **47**. წმინდანი, თორმეტ ასურელ მამათაგანი. **51**. სიტყვა, რომელიც დამწერლობით და წარმოთქმით ერთნაირია, ხოლო შინაარსით განსხვავებული. **52**. კუნძული, რომელზედაც იოანე მახარებელს უფლის გამოცხადება ჰქონდა („სახარება“). **53**. თირკმელების მიერ შარდის გამოყოფის სრული შეწყვეტა. **54**. მტაცებელი ფრინველი. **56**. საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა. **57**. დიდი საზეიმო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები. **59**. ბერძნულ მითოლოგიაში მიწის ქალღმერთი, ზევსის ბებია. **61**. შიშველი სხეულის გამოხატვა (ხელოვნებ. კავშ.) **63**. განხეთქილება, ეკლესიის რაიმე ნაწილის გამოყოფა („გამოყოფა“ ცუდად არ აღიქვათ... გთხოვთ!) **65**. დერეფანი, გრძელი გასასვლელი. **67**. ქართული გაზეთი. **71**. გამოთაყვანებული, ყეყეჩი... **74**. სახელმწიფო ლათინურ ამერიკაში. **75**. სასუნთქი მილი, სასულე. **76**. სვანური სიმღერა. **77**. სახელმწიფო აფრიკაში. **78**. მუქი ლურჯი საღებავი ნივთიერება. **80**. ზღვრული ნორმა. **81**. რაიმე ელემენტის ნაერთი ჟანგბადთან. **82**. გამაბრუებელი და ძილის მომგვრელი წამალი. **83**. ქალაქი-პორტი შავი ზღვის სანაპიროზე. **84**. ამა თუ იმ მოვლენის განვითარების შუალედური მონაკვეთი. **85**. ბრალდებულის უდანაშაულობის დასაბუთება.

**დაბეჯითებით გთხოვთ — ე.წ. „კაიფვორდებს“, „დავვორდებს“ და მისთანებს დასაბეჭდად ნუ შემოგვთავაზებთ.**
**და კიდევ — თუ ვინმე ჩათვლის, რომ კროსვორდთან დაკავშირებით ჩვენგან რაიმე ფასეული რჩევის მიღება შეუძლია, ჩვენთვის დიდი პატივი იქნება ამგვარი დახმარების აღმოჩენა.**

*პატივისცემით, ალ. ელერდაშვილი*

**და ბოლოს: ბოდიშს ვიხდით ბევრი, „ფანტაზიაში“ მრავალჯერ განმეორებული სიტყვების კიდევ ერთხელ განმეორებისათვის (ვეცდებით კიდევაც ახალი გზების ძიებას რედ.)**

# როკ-ენციკლოპედია

# ABBA

## ბიოგრაფია:

შვედური ჯგუფი „**ABBA**“ შეიქმნა 1971 წელს სტოკჰოლმში. მისი შემადგენლობა არასოდეს შეცვლილა: აგნეტა ფალტსკოგი (ვოკალი) ანი-ფრიდ ლინდსტად ფრიდრიქსონი (ვოკალი), ბიერნ ულვაეუსი (გიტარა, ვოკალი), ბენი ანდერსონი (კლავიშიანი ინსტრუმენტები, ვოკალი).

ეს ნიჭიერი შვედური ანსამბლი **Boney-M**-თან ერთად თანამედროვე პოპ-მუსიკის უნიკალურ მოვლენად იქცა. ამ ჯგუფების ხანგრძლივი სცენიური კარიერა სწორედ მათს მაღალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს, მაშინ, როცა მრავალმა მათმა თანამედროვე პოპ-ანსამბლმა დიდხანს ვერ გაუძლო სცენიურ გამოცდას. თუმცაღა მუსიკის თავგამოდებული მოყვარულნიც ვერ დაიკვეხნიან თაყვანისცემის ხანგრძლივობით და შეხედულებათა მდგრადობით — ისინი ძალზედ ხშირად იცვლიან გასაღმერთებელ ობიექტებს...

„**ABBA**“-მ პირველი დიდი აღიარება მოიპოვა სიმღერა „ვატერლოოს“ წყალობით (1973 წ.), რომელიც დღემდე განუმეორებელ კომპოზიციად ითვლება. ამ ანსამბლს მიეწერება ისეთი ფენომენის დამკვიდრება, რომელიც მუსიკოსთა შორის „ევროდისკოს“ სახელითაა ცნობილი...



ანსამბლის წევრებმა ერთობლივი გამოსვლები 1982 წელს შეწყვიტეს; ანდერსონმა და ულვაეუსმა შექმნეს ახალი ჯგუფი („ჯემინა“) თავისი მოდერნიზებული იდეების განსახორციელებლად, აგრეთვე დაწერეს პოპ-ოპერა „ჭადრაკი“, რომლის ლიბრეტო ტიმ რაისს ეკუთვნოდა. ქალებმა განაგრძეს სოლო გამოსვლები (ფრიდასთან თვით ფილ კოლინზიც კი თანამშრომლობდა), მაგრამ „აბბა“-ს ტრიუმფის გამეორება ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო...

## დისკოგრაფია:

*Ring Ring*

Ring ring; Another town, another train; Disillusion; People need love; A saw it in the mirror; Nina pretty ballerina; Love is easy; Me and Bobby and Bobby's brother; He is your brother; She's my kind of girl; A am just girl; Rock'n roll.
(Pol, ADD, 1973)

*ABBA*

Mamma Mia; Hey, hey Helen; Tropical loveland; SOS; Me in the middle; Bang-a-boomerang; I do, I do, I do, I do; Rock me; Intermezzo '1; I've been waiting for yor; So long; Waterloo; Hasta manana; Honey, honey; Ring, ring; Nina pretty ballerina.
(Pol, ADD, 1974-1975)

*Arrival*

When I kissed the teacher; My love, my life; That's me; Money, money, money; Why did it have to be me; Knowing me, Knowing yor; Dum, dum diddle; Tiger; Arrival.
(Pol, ADD, 1976)

*Voulez vous*

As good as new; Voulez vous; A have a dream; The king has lost his crown; Angel eyes; Chiqurita; Does your mother know; If was for the nights; Kisses of fire; Lovers (live a little longer)
(Pol, ADD, 1979)

**აქვე გთავაზობთ „აბბა“-ს პოპულარული სიმღერების ტექსტებს:**

### Hasta Manana

*Were is the spring and the summer*
*That once was yours and mine?*
*Where did it go?*
*I just don't know*
*But still my love for you will live forever*

*Hasta Manana 'til we meet again*
*Don't know where, don't know when*
*Darling our love was much too strong*
*We'll find a way to face a new tomorrow*
*Hasta Manana, say we'll meet again*
*I can't do without you*
*Time to forget, send me a letter*
*Say you forgive, the sooner the better*
*Hasta Manana, baby, Hasta Manana,*
*until then*

*Where is the dream we were dreaming*
*And all the nights we shared*
*Where did they go?*
*I just don't know*
*And I can't tell you just how much I miss you*
*Hasta Manana 'til we meet again*
*Don't know where, don't know when*
*Darling, our love was much too strong to die*
*We'll find a way to face a new tomorrow*
*Hasta Manana, say we'll meet again*
*I can't do without you*
*Time to forget, send me a letter*
*Say you forgive, the sooner the better*
*Hasta Manana, baby, Hasta Manana,*
*until then*

### I Have A Dream

*I have a dream, a song to sing*
*To help me cope with anything*
*If you see the wonder of a fairy tale*
*You can take the future even if you fail*
*I believe in angels*
*Something good in evething I see*
*I believe in angels*
*When I know the time is right for me*
*I'll cross the stream — I have a dream*

*I have a dream, a fantasy*
*To help me throught reality*
*And my destination makes it worth the while*
*Pushing throught the darkness still another mile*
*I believe in angels*
*Something good in everything I see*
*I believe in angels*
*When I know the time is right for me*
*I'll cross the stream — I have a dream*
*I'll cross the stream — I have a dream*

*I have a dream, a song to sing*
*To help me cope with anything*
*If you see the wonder of a fairy tale*
*You can take the future even if you fail*
*I believe in angels*
*Something good in evething I see*
*I believe in angels*
*When I know the time is right for me*
*I'll cross the stream — I have a dream*
*I'll cross the stream — I have a dream*

### Money, Money, Money

*I work all night, I work all day,*
*to pay the bills I have to pay*
*Ain't it sad*
*And still there never seems to be a single penny left for me*
*That's too bad*
*In my dreams I have a plan*
*If I got me a wealthy man*
*I wouldn't have to work at all, I'd fool around and have a ball...*

*Money, money, money*
*Must be funny*
*In the rich man's world*
*Money, money, money*
*Always sunny*
*In the rich man's world*
*Aha—ahaaa*
*All the things I could do*
*if I had a little money*
*It's a rich man's world*
} მისამღერი

*A man like that is hard to find*
*but I can't get him off my mind*
*Ain't it sad*
*And if happens to be free I bet he wouldn't fancy me*
*That's too bad*
*So I must leave, I'll have to go*
*To Las Vegas or Monaco*
*And win a fortune in a game,*
*my life will never be the same...*

მისამღერი (ორჯერ)

*It's a rich man's world*

**შემდეგ ნომერში წარმოდგენილ იქნებიან:**
**ABC, Abdul, Paula**
**და AC/DC**


ი/ს „**ფანტაზია**“, რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ, № 7/1-1811
**ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები**
„300 არაგველი“, გუთნის 10, ტელ. 77-64-80
წერილებისათვის — 380003, ალ.ელერდაშვილს, მოკითხვამდე